

9. რომელ გოგონას აქვს ისეთი სუნამო, რომელიც მეორეს არ აქვს?

- A. მხოლოდ ქეთოს B. მხოლოდ სოფოს C. ორივეს აქვთ ასეთი სუნამო

10. მცენარე ზუსტად 2 თვის იყო, როცა ნიტამ ის დედიკოს აჩუქა. უკვე 6 თვეა, რაც ნიტას დედიკოს ეს მცენარე აქვს. რამდენი თვისაა ახლა მცენარე?

- A. 2 თვის B. 4 თვის C. 8 თვის

11. ვაკოს ასაკს რომ გოგას ასაკი გამოვაკლოთ მივიღებთ 2-ს. ეს აუცილებლად ნიშნავს რომ:

- A. ვაკო 2 წლის არის B. ვაკო უფრო დიდია ვიდრე გოგა C. გოგა უფრო დიდია ვიდრე ვაკო

12. რამდენია რვას პლუს ხუთი მინუს ერთი?

- A. 14 B. 11 C. 12






13. ერთი ალამი 20 თეთრი ღირს, ხოლო ერთი სტიკერი 12 თეთრი. რომელი უფრო ძვირია, 2 ცალი ასეთი ალამი თუ 4 ცალი სტიკერი?

- A. 2 ცალი ალამი B. 4 ცალი სტიკერი C. თანაბარია

14. გადაცემა 10:40 წუთზე დაიწყო და 11:05 -ზე დასრულდა. არანაირი სატელევიზიო ჭრა (რეკლამა) არ ყოფილა. რამდენი წუთი გრძელდებოდა ეს გადაცემა?

- A. 15 წუთი B. 25 წუთი C. 65 წუთი

15. ცხრილში თქვენ ხედავთ სხვადასხვა ნამცხვარს, თითოეული ნამცხვრის ქვემოთ წერია ამ ნამცხვრის ფასი. ლიკას 5 ლარი და 15 თეთრი აქვს. რომელი ნამცხვრის ყიდვას შეძლებს ლიკა ამ თანხით?

				
I - 3 ლარი	II - 3 ლარი და 50 თეთრი	III - 5 ლარი	IV - 2 ლარი	V - 1 ლარი და 70 თეთრი

A. მხოლოდ I ერთად)

B. მხოლოდ I ან III

C. ნებისმიერის (მაგრამ არა ყველასი